დამტკიცებულია :
შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისის დირექტორის
2020 წლის 12 ნოემბრის N01-19 ბრძანებით.

შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისის
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისის (შემდგომში - კოლეჯი) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესს.

1.2. წინამდებარე წესის მიხედვით განსაზღვრული წესები ვრცელდება კოლეჯის ყველა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ სივრცეებზე, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეებზე.

მუხლი 2. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა/დასუფთვების პასუხისმგებლობა

2.1. კოლეჯი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფს საგანმანათლებლო სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას/დასუფთვებას;

2.2. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას/დასუფთვებას ახორციელებს კოლეჯის დამლაგებელი;

2.3. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის/დასუფთავების მონიტორინგს კოლეჯის მატერიალური რესურსებისა და წესრიგის დაცვის მენეჯერი.

მუხლი 3. სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები

3.1. კოლეჯი ყოველდღიურად ლაგდება სველი წესით სოდის, სპეციალური სარეცხი საშუალებების გამოყენებით.

3.2. ფოიეები, აუდიტორიები, და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები ლაგდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების მდგომარეობაში. თუ სწავლა მიმდინარეობს ორ ცვლად, ოთახები ლაგდება 2-ჯერ, იწმინდება სველი წესით იატაკი, იწმინდება მტვრიანი ზედაპირები (მაგიდები, სკამები, ფანჯრის რაფები, გამათბობლები და სხვა).

3.3. თვეში ერთხელ ტარდება შენობების გენერალური დასუფთავება არა მარტო სარეცხი საშუალებებით, არამედ სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით. ამისათვის გამოიყენება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებები.

3.4. ფანჯრები იწმინდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ. სანიტარიული კვანძი ექვემდებარება ყოველდღიურ დასუფთავებას სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით.

3.5. სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობა სუფთავდება ყოველდღიურად. უნიტაზის დასაჯდომის, ჩასარეცხი ავზისა და კარების სახელურები ირეცხება წყლით და სარეცხი საშუალებით. ნიჟარები, უნიტაზები ირეცხება ჯაგრისით სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით მათ ეტიკეტზე მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად.

3.6. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოიყენება ამ მიზნებისათვის განკუთვნილი, ინვენტარი, რომელიც ინახება განცალკევებით და ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ.

3.7. კოლეჯის სათავსების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ სათავსში/კარადაში, სათანადო შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის.

3.8. საგანგებო მდგომარეობის დროს (ასეთის დადგომის შემთხვევაში) შენობის დასუფთავება ხორციელდება შესაბამისი მდგომარეობისათვის განსაზღვული წესითა და პერიოდულობით;

3.9. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში კერაში დეზინფექციის დროს ძირითადი ყურადღება ექცევა იმ ნივთების დამუშავებას, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ ინფექციის გადაცემაში (ხშირად შეხებადი ზედაპირები, კარები, კარისა და ფანჯრის სახელურები, მაგიდის ზედაპირები).

3.10. კოლეჯის ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება, ხოლო ნაგავი გროვდება და იყრება ნაგავშემკრებ მუნიციპალურ კონტეინერებში;

3.11. ნაგვის ურნები იცლება ყოველდღიურად;

3.12. შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება, ვენტილაცია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

მუხლი 4. დასკვნითი დებულება

4.1. წინამდებარე წესს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით